

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ვალერიანე კვარაცხელია

თანამდებობის დასახელება- საკრებულოს წევრი

კომისიის (კომისიების) დასახელება-

1. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია;
2. იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ფრაქციის დასახელება _

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- მაჟორიტარული (68.01.01 ქ.წალენჯიხის მაჟორიტარული ოლქი).

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 წლის 01 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი.

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 21
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 17

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 24
კომისიის სხდომებზე დასწრება - 20

3. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე საწვავისა და სატელეფონო ხარათების ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;
- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

-მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით - (იჯარით) გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე;

-„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

-მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

-საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არა სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

-საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების თაობაზე;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

-სხვა მიმდინარე საკითხები.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 27 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 530

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

ქალაქის შიდა გზების რეაბილიტაცია; ქალაქის გარკვეულ უბნებში გარე განათების მოწყობა, საჯარო სკოლების სველი წერტილების რეაბილიტაცია, ზღვიას დასახლებაში პარკის მოწყობა, საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღებისთვის ინვენტარის შეძენა, საცხოვრებელი კორპუსების ფასადური შეღებვა, სოციალური და ჯანდაცვის საკითხების მოგვარება, დასაქმება, გაზიფიცირება...

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები:

-რეაბილიტირებულ იქნა ქ. წალენჯიხის შენგელაიასა და ყაზბეგის ქუჩების რეაბილიტაცია;
- სსიპ ქ.წალენჯიხის N1, N2, N3, N5, N6 და N7 საჯარო სკოლების რეაბილიტაცია;

- ზედა მაზანდარის უბანში ხიდ-ბოგირების(ორ ადგილას) მოწყობა, შიდა გზების მოხრეშვა, გარე განათების მოწყობა, წისქვილის რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა;
- ქვედა მაზანდარის უბანში თვალთვადისა და ქუჩულორის ქუჩაზე გარე განათების მოწყობა;
- ლულერა, სამცაცხვის უბანში წყალსადენის რეაბილიტაცია;
- ხვითერის უბანში გარე განათების მოწყობა;
- ზღვიას დასახლებაში პარკის რეაბილიტაცია;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის შენობის გადახურვა;
- ტაბიძის ქუჩის ბოლოს გზაზე მილ-ხიდის მოწყობის სამუშაოები;
- ინტერნატის ქუჩაზე სანიღვრე არხის და ცხაურის მოწყობის სამუშაოები;
- საბულაძოს უბანში რკინა-ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები;
- სარიას ქუჩაზე სანიღვრე არხის ამოწმენდა და რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქის მთელ ტერიტორიაზე გრძელდება გაზიფიცირების სამუშაოები.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა
 ჩართული ვარ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურისა და იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიების მუშაობაში.

შევსების თარიღი-29.10.2020 წ.

წარდგენის თარიღი _29.10.2020 წ.

ხელმოწერა - *ვ. ჯიქიაშვილი*

